



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

### ოქმი N4

ქალაქი ბათუმი

2022 წლის 22 აგვისტო  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე

#### ესწრებოდნენ:

- |                   |   |  |
|-------------------|---|--|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;  |
| ნატალია ზოიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ზურაბ ნაკაიძე     | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| მინდია გოგუაძე    | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების<br>კომისიის თავმჯდომარე;                           |
| დავით მახარაძე    | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                       |
| ლევან ცხოიძე      | - | საკრებულოს განათლების, კულტურის,<br>ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის<br>თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე      | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                  |
| ნერიმან ცინცაძე   | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                     |
| თენგიზ აფხაზავა   | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;             |

ასლან ბალაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
რიჩარდ სირაბიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია მიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;

- თეკლა კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;
- მამუკა ქობულაძე - საკრებულოს წევრი;
- ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;
- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- ნატო ნაცარაშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი - პაატა დიასამიძე;
- სამოქალაქო აქტივისტი - ირმა ზოიძე;
- დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი - თეონა დიასამიძე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ადმინისტრაციულ საკითხებში - სულიკო შვენთიძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - გურანდა აბულაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა დღის წესრიგით წარმოდგენილი 6 საკითხის განხილვის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა წამოაყენა წინადადება დღის წესრიგიდან პირველი საკითხის - „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ამოღების თაობაზე და მოითხოვა საკითხის განხილვა ბათუმის ბულვარის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ დუმბაძემ განაცხადა საკრებულოს სხდომის დარბაზში ადგილების რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე დაინტერესებულ პირთა დასწრების შეზღუდვის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ დაავალა საკრებულოს აპარატს საკრებულოს სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ რევაზ ხარაზის წინადადების „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დღის წესრიგიდან ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ფუტკარაძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, კ. ქაშიბაძე, მ. ქობულაძე, ი. ჯინჭარაძე)

წინააღმდეგი - 18 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მეგლაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა. გვიანძიძე, ნ. მიმიგური)

საკრებულოს წევრი, ვაჟა დარჩია დაეთანხმა რევაზ ხარაზის ინიციატივას და დამსწრე საზოგადოებას შეახსენა მიწის ნაკვეთის შპს „ორბი ჯგუფსა“ და მის შვილობილ კომპანიაზე გადაცემის შესახებ. აღნიშნა, რომ 2016 წლიდან შპს „ვესტინვესტი“ პარტია „ქართული ოცნების“ შემომწირველი კომპანიაა და საკითხს არგებთ კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. დღეს 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ორბი ჯგუფის“ დირექტორი ირაკლი კვერდელიძე და არსებობს კითხვები პასუხგასაცემი, რომელიც აჩენს კორუფციის რისკს.

საკრებულოს წევრი, თეკლა კავაზაშვილი მიესალმება საკრებულოს წევრთა შეკრებას განახლებულ სხდომათა დარბაზში, მაგრამ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს სხდომათა დარბაზში მეტ დაინტერესებულ პირთა დასწრება.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ლაშა კილაბერია გამოეხმაურა რევაზ ხარაზის წინადადებას და ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ დღის წესრიგიდან პირველი საკითხის არ ამოღების შემთხვევაში განსახილველად წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერენ.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიმიგური ისურვებდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვაში მოქალაქეების აქტიურად ჩართვას. მან მოქალაქეების გულისტკივილი გააჟღერა და აღნიშნა, რომ როგორც ტურისტულ ქალაქში მონიტორინგი აქტიურ რეჟიმში უნდა მუშაობდეს. სჯერა, რომ რამაზ ჯინჭარაძის თავმჯდომარეობით ყველაფერი გაკეთდება კანონის შესაბამისად და განაცხადა ინფრასტრუქტურის საკითხების განხილვისას კენჭისყრაში მონაწილეობის არ მიღების თაობაზე.

საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე მიმდინარე წლის 19 აგვისტოს ოპოზიციური პარტია "გირჩის" ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ უცენზურო და ანტიკონსტიტუციურ განცხადებას გამოეხმაურა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო პარტია "გირჩის" ლიდერის რამდენიმე წინადადება, სადაც ის განმრტავს, რომ ფიქრი, საუბარი და მსჯელობა შეიძლება ყველაფერზე, შენობების დაკავებაზეც, გზების გადაკეტვაზეც, ამბოხებაზეც და რევოლუციაზეც... აღნიშნული ცხადყოფს "გირჩის" ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის სულისკვეთებას, რომელიც თვლის, რომ დანარჩენი ოპოზიცია, მათ შორის მთავარი ოპოზიციური ძალა დასუსტებულია, არ აქვთ რეიტინგები და რადიკალიზაციის ნიშის დაჭერის ხარჯზე აპირებენ ელექტორატის გაზრდას. ასევე აღნიშნა, რომ პარტია "გირჩის" ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის მიერ სოციალურ ქსელში უცენზურო და ანტიკონსტიტუციური განცხადების შემდეგ სოციალურ ქსელში არაკონსტიტუციური განცხადება მწერალმა ტორესა მოსიმაძე გაავრცელა. აინტერესებს, ოპოზიცია ემიჯნება თუ არა გირჩის განცხადებას და შეახსენა, ხელისუფლებას ირჩევს ხალხი და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. ოპოზიციას 2012 წლიდან მოყოლებული მოსახლეობა უარს ეუბნება ხელისუფლება ანდოს! მან აღნიშნა, რომ საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების და თავისუფალი კონკურენციის უფლება, თუმცა კანონის ჩარჩოებში. პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომელიც სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს. ვიყოთ კონკურენტები - კანონის ფარგლებში. მან კიდევ ერთხელ

განაცხადა, რომ ზურაბ ჯაფარიძის და ტორესა მოსის განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ განაცხადა სამომავლოდ საკრებულოს სხდომის ტექნიკურად გამართვის შესახებ. ასევე გამოეხმაურა საკრებულოს წევრების ლაშა კილაბერიას და რევაზ ხარაზის განცხადებებს და აღნიშნა, რომ მისთვის შეურაცხმყოფელია მათი გამოსვლა, რაც შემდეგში არ უნდა განმეორდეს.

**სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მახინჯაური).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (კახაბერი).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ.N45-ში არსებულ არასაცხოვრებელ შენობაზე თორნიკე კიპაროძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხობიძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე დურსუნ ჩერქეს-ზადეს მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 12 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ფუტყარაძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე, თ. კავაზაშვილი, კ. ქაშიბაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ნ. ძიძიგური)

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ განაცხადა ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩა N36 ავარიულ კორპუსთან დაკავშირებით და მოითხოვა კორპუსის მცხოვრებთა დაკმაყოფილება.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა აღნიშნა საკრებულოს წევრის ირაკლი ზოიძის უკრაინის რესპუბლიკაში ბრძოლის თაობაზე.

საკრებულოს წევრი ალექსანდრე ვარშალომიძემ მოითხოვა სანდასუფთავების თანამშრომლებისთვის ანაზღაურების გაზრდა. მისთვის მნიშვნელოვანია საკრებულოს სხდომებზე სამსახურის ხელმძღვანელების დასწრება.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად კარგი ტურისტული სეზონისა გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომელსაც მომავალი სეზონისთვის ხელისუფლება გაითვალისწინებს. ქალაქში მოსაწესრიგებელია პარკინგის საკითხი, ასევე ანგისის სტადიონის წინ გადასასვლელი.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განაცხადა, რომ დღეს ბათუმის უმთავრესი გამოწვევაა - ქაოტური განაშენიანება, რომელიც თავის მხრივ არის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემების საწინდარი. დასაწყისშივე აღნიშნა, რომ არც მან და არც თავისი პარტია არ არის ინვესტიციების წინააღმდეგი და შემაფერხებელი, უფრო მეტიც, მიაჩნია, რომ არასაჭირო, ზემდეტი ბიუროკრატიული ბარიერების არსებობა და გადაწყვეტილების მიღების დროში ხელოვნურად გაწელილი პროცედურა არის დამაზიანებელი და ქმნის კორუფციის რისკებს. ხელი უნდა შევუწყოთ ყველას, ვინც კეთილსინდისიერად ცდილობს, მათ შორის, სამშენებლო ბიზნესის წარმოებას. წინასწარ და დეტალურად გავწეროთ „თამაშის წესები“, რითაც შევამცირებთ კონკრეტული პირების ფართო დისკრეციას და თავიდან ავირიდებთ ბიზნესგარემოსთვის არასასურველ მითქმა-მოთქმას კორუფციის შესახებ. ბათუმის თვითმმართველობა წლებია მოქმედებს ქალაქის გენერალური გეგმის გარეშე, რამაც ბათუმი სავალალო შედეგებამდე მიიყვანა.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე გამოეხმაურა საკრებულოს წევრის ნინო ცხვარაძის კომენტარს და განაცხადა, რომ პარტია "გირჩის" ლიდერს ზურაბ ჯაფარიძეს კანონსაწინააღმდეგო არაფერი უთქვამს და ოპოზიცია არგუმენტების გარეშე არ აყენებს საკითხებს. ისაუბრა ქალაქ ბათუმის 37-ე საბავშვო ბაღის ტერიტორიასთან არსებულ ქუჩაზე გადაადგილების შეუძლებლობის თაობაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარმა“ 2022 წლის თებერვალში დაასრულა ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის დოკუმენტზე მუშაობა. იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტს - გზამკვლევს (გაიდლაინს). პროექტის მთავარი მიზანი იყო ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადება მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით და ხაზგასმით. ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავების და მიღების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების დარგის საუკეთესო სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია.



## აზრი

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ შეახსენა მომხსენებელს, რომ ის შპს „ამბასადორი ბათუმის“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 05.21.-02.002) დაკავშირებით პროექტის განხილვისას ბულვარის განაშენიანების გეგმაზე მომუშავე კომისიაში იყო და აინტერესებს ნებართვა ვის მიერ იქნა გაცემული, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისგან ნებართვა არ გაცემულა. მომხსენებელს მიაჩნია შპს „ამბასადორი ბათუმის“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 05.21.02.002) დაკავშირებით ჩანაწერები რეგლამენტით არის შეუსაბამო.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომაზე პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა მიზანშეწონილად არ მიაჩნია „ემპაკის ბორბლის“ გადატანა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ბათუმის თვითმმართველობა წლებია მოქმედებს ქალაქის გენერალური გეგმის გარეშე, რამაც ბათუმი სავალალო შედეგებამდე მიიყვანა. მანამდე არსებული ცუდი რეგულაციების, კანონის დარღვევით, გამონაკლისების დაშვებით, განაშენიანების გეგმის გარეშე სტიქიური, თუ უკანონო მშენებლობების შედეგად მივიღეთ მრავალსართულიანი სახლები ეზოების, სათამაშო მოედნების, გამწვანებისა და პარკირებების გარეშე. გენერალური გეგმის გარეშე მუშაობა პირველი მოწვევის საქალაქო სათათბიროებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებრივად და ქალაქის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედმა ხმოსნებმა დაადგინეს „წითელი ხაზები“, არქივში ინახება სასამართლო დავების შესახებ მასალები, სადაც შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ იცავს თვითმმართველობა წითელ ხაზებს და როგორ ანგრევს შეუსაბამო ნაგებობებს. შედეგად მივიღეთ ძველი ბათუმი, კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული უმარავი შენობებით, ურთიერთპერპენდიკულარული ქუჩებით, რომელებიც ორიენტირებულია ზღვისა და მთების მიმართულებით და უზრუნველყოფენ ზღვისა და მთის ჰაერის ურთიერთგამჭოლიანობას. სამწუხაროდ, სანაპირო ზოლში აშენებული მასიური შენობები ამას უკვე ხელს უშლის.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა განაცხადა, რომ - დოკუმენტი მიღებულ იქნას ისეთი სახით, როგორც წარმოადგინა ბათუმის ბულვარმა.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ განმარტა, რომ პროექტი კარგია და მიმართულია ბულვარის განვითარებისათვის.

საკრებულოს წევრს ალექსანდრე ვარშალომიძეს აინტერესებს შპს „ამბასადორი ბათუმის“ მშენებლობაზე მხარდამჭერი მოსახლეობის რაოდენობა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი წარმოდგენილია სრული სახით.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ - საკრებულოს რეგლამენტი ყველამ უნდა დაიცვას. ე.წ. ინსპექტირების ჯგუფში წარმოდგენილი იყო „ბაუ-დიზაინის“ მიერ შპს „ამბასადორი ბათუმის“ საკითხი, რომელიც ბულვარს მისცემს განვითარების საშუალებას. განმარტა, რომ ვერავინ ვერ აიძულებს ზეწოლით ხმა მისცეს ნებისმიერ პროექტს და მიაჩნია, რომ ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების გეგმა არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის მთავარი მიზანი ბულვარის ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების დაცვა/შენარჩუნებით სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავებაა. იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტის-გზამკვლევს (გაიდლაინს).

ასევე აღნიშნა, რომ ეს არის საკმაო მოცულობითი დოკუმენტი. სამუშაო პროცესში, კერძოდ ტექნიკური დავალების შემუშავებისა და მიღების ეტაპზე, ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია, ე.წ. ინსპექტირების ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ რიგ საკითხებზე ჯგუფის წევრების და კომპანიის "ბაუ-დიზაინის" წარმომადგენლების შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, იმდენად პოზიტიური შედეგი ექნებოდა ამ დოკუმენტს ქალაქისთვის, მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება და სსიპ "ბათუმის ბულვარმა" ჩაიბარა დოკუმენტი. ამ ინსპექტირების ჯგუფის წევრი იყო თვითონაც და დღეს, ვინაიდან მხოლოდ ერთ საკითხზე იქნა აქცენტი გადატანილი, ჩათვალა საჭიროდ კოლეგებისთვის სხდომაზე, კიდევ ერთხელ, მიეწოდებინა უფრო დეტალური ინფორმაცია, რაც სამუშაო

პროცესში გამოიკვეთა. თავად კომპანია " ბაუ-დიზაინი" პირველ ეტაპზე არც შეხებია ე.წ. "ამბასადორის" თემას, სავარაუდოდ, ჩათვალა კერძო საკუთრებად, რომელთა მიმართ, ანუ მომიჯნავე ობიექტების მიმართ, ტექნიკური დავალების მიხედვით, მხოლოდ რეკომენდაციები გაიცემოდა.

მომხსენებელმა მამუკა რამიშვილმა განაცხადა ინსპექტირების ჯგუფში თავისი მოსაზრების აღნიშვნის შესახებ. კონკრეტულად შპს „ამბასადორი ბათუმის“ მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის გაცემული მშენებლობის ნებართვა, მიმდინარეობს დავა და რაიმე იურიდიული შეუსაბამობა საკრებულოს მიერ არ უნდა დადგინდეს.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ დუმბაძემ ფრაქციის სახელით მოითხოვა შესვენება კენჭისყრამდე 10 წუთი.

სხდომა განახლდა 12.40 სთ.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ დადგენილებას პროექტზე არაკომპეტენტურ პირებს უწევთ გადაწყვეტილების მიღება.

**საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ** აღნიშნული პროექტი განიხილება შენიშვნის სახით, ამოღებულია ჩანაწერი „შეუსაბამო“. შესაბამისად ამ შენიშვნის მნიშვნელობას ვერ იზიარებს და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს წევრმა ნატალია მიძიგურმა აღნიშნა საკითხის ქალაქისთვის მნიშვნელობის თაობაზე და განმარტა, რომ სიღრმისეულად შესწავლისა და კონსესუსის საფუძველზე უნდა მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. აინტერესებს, რომ განკარგვის უფლება ამ ბუღვარის ქალაქისთვის არ არის გადმოცემული, როგორ და ვის მიერ მოხდება წარმოდგენილი გეგმის კონტროლი და შესრულება, ასევე იქ არსებული რესტორნების მეპატრონეების ბედი. უკეთესია საკითხი განიხილებოდეს მომდევნო სხდომაზე, რადგან განხილვისას ყველა მხარე უნდა იყოს ჩართული.

მომხსენებელმა მამუკა რამიშვილმა განმარტა, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს ფაზირების მომენტს, აღნიშნულთან დაკავშირებით კონტროლს განახორციელებს ბათუმის ბუღვარის ადმინისტრაცია.

საკრებულოს წევრმა ლაშა კილაბერიამ დასვა კითხვა: ბათუმის მერიას რა პოზიცია აქვს და თანახმა თუ ხართ იმ ცვლილებით ეყაროს კენჭი დადგენილების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ამბასადორის საკითხის ამოღებას?

მომხსენებელმა მამუკა რამიშვილმა განმარტა, რომ ეს საკითხი განხილულ იქნა სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის კომისიის სხდომაზე. მას თავისი პოზიცია თავისდროზე დაფიქსირებული აქვს წერილობით, რომ შპს „ამბასადორი ბათუმის“ მშენებლობაზე გაცემულია ნებართვა და შეუსაბამო სტატუსის მინიჭება გამოიწვევს სამართლებრივ შეუსაბამობას. გარდა ამისა კომისიის სხდომებზე გამოითქვა შენიშვნები, რომ იურიდიული თვალსაზრისით არ იქნებოდა სწორი შპს „ამბასადორი ბათუმის“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 05.21.02.002) დაკავშირებული ჩანაწერების ამ დადგენილებაში შეტანა. შესაბამისად საკრებულოს და მერიის იურისტების მოსაზრებების, საკრებულოს კომისიების დასკვნისა და საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე გიდასტურებთ, რომ ამ ცვლილების შეტანა არის საკრებულოს ინიციატივა, მაგრამ მერია არ არის წინააღმდეგი და თანახმაა ზემოაღნიშნული იურიდიული მიზეზების გამო განსახილველი პროექტის, როგორც გრაფიკული და ისე ტექსტური ნაწილიდან ამოღებული უნდა იქნეს შპს „ამბასადორი ბათუმის“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 05.21.02.002) დაკავშირებული ჩანაწერები.

საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ადმინისტრაციულ საკითხებში სულიკო შვენთიძემ განმარტა, რომ „ბაუ დიზაინმა“ ბათუმის ბულვარის დაკვეთით წარმოადგინა თავისი კონცეფცია. გადაწყვეტილების მიმღები არის მერის წარდგინებით საკრებულო. საკრებულოს მიერ დოკუმენტში ცვლილების შეტანა კანონიერია. გარდა ამისა, მიმდინარეობს სასამართლო დავა შპს „ამბასადორი ბათუმის“ მიწის ნაკვეთის გაცემულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული დავა ამ ეტაპზე არსებითად არ არის გადაწყვეტილი და დასრულებული, მითუმეტეს როდესაც სასამართლოს მიერ მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, ამდენად სამართლებრივი თვალსა-

ზრისით შპს „ამბასადორი ბათუმთან“ დაკავშირებით ჩანაწერების შეტანა აღნიშნულ დოკუმენტში არის შეუსაბამო, არათანმიმდევრული და არასწორი.

სხდომის თავმჯდომარეს რამაზ ჯინჭარაძეს მიაჩნია, რომ შესაბამისი სამართლებრივი მიზეზების გამო დადგენილების პროექტიდან, პროექტის როგორც გრაფიკული და ისე ტექსტური ნაწილიდან ამოღებული უნდა იქნეს შპს „ამბასადორი ბათუმის“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 05.21.02.002) დაკავშირებული ჩანაწერები და იგი უნდა დამტკიცდეს მის გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილ პროექტს კენჭისყრაზე ვაყენებ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით

შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს (მ. რამიშვილი) დაევალოს აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, პროექტის გრაფიკული და ტექსტური ნაწილის კორექტირება და ხელმოსაწერად მომზადება.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

არ ესწრებოდა: 1(ნ. ძიძიგური)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე)

წინააღმდეგი - 14 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ფუტკარაძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, თ. კავაზაშვილი, კ. ქაშიბაძე, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე, ვ. დარჩია)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

საკრებულოს სხდომათა დარბაზი დატოვა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა: ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ფუტკარაძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, თ. კავაზაშვილი, კ. ქაშიბაძე, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობების განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას  $k2=16,0$ -მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას. საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს შერეულ ზონაში (შზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი  $k2=4,6$ -მდე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

**საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ** კომპანიის მიერ ჩატარებული გამოკითხვა არაფერს არ ნიშნავს. სამწუხაროდ, განაშენიანების საქმეში ბევრი შეცდომებია დაშვებული, ერთი რამ კი ცხადია, რომ მსგავს დანაშაულს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიმართებაში მხოლოდ ისინი ჩაიდენენ, რომელთაც ჩვენი ქალაქის ბედ-იღბალი არანაირად მიაჩნიათ.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ პირველი საკითხის შემდეგ ბოიკოტის რეჟიმია. კომპანიის წარმომადგენლები არიან პარტია „ქართული ოცნების“ შემომწირველები. ეს არის საჯარო ინფორმაცია და ფაქტი. დაინტერესებული პირი დაინახავს ასეთ ფაქტზე კორუფციას.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ ვაჟა დარჩიას უპასუხა, რომ მთელი მსოფლიო ასეთ ბიზნესს მხარს უჭერს.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ინვესტიციას უნდა შეუწყოთ ხელი. ბათუმს სჭირდება ინვესტიციები და შემოსავლები.

საკრებულოს წევრს აკაკი გვიანიძეს მიაჩნია, რომ მოსახლეობის აზრი უნდა იყოს მისაღები და საკითხი გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხომიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე)

წინააღმდეგი - 3 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. ძიმიგური)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ გამოაცხადა შესვენება 5 წთ.

სხდომა განახლდა 13.50 სთ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (მახინჯაური).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დასკვნა №005129522, 28.07.2022 წ. დასკვნის შესაბამისად 1 კვ.მ მიწის საპრივატიზებო ღირებულება 500,0 ლარი; საიჯარო ქირა 5%- 25,0 ლარი. საბოლოოდ 1 კვ.მ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 30,0 (ოცდაათი) ლარით.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

არ ესწრებოდა: 2 (ნ. ძიმიგური, ა. გვიანძგი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (კახაბერი).

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით №05.32.06.175, №05.32.06.176, №05.32.06.179 და №05.32.06.185 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოყენებული იქნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ დასახლება კახაბერში მდებარე №05.32.06.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17932.00 კვმ მიწის ნაკვეთის შეფასება (დასკვნა №003980321, 10.06.2022 წ.) დასკვნის შესაბამისად 1 კვ.მ მიწის საპრივატიზებო ღირებულებაა 107,0 ლარი; სარგებლობის საფასური 5% - 5,35 ლარი. საბოლოოდ 1 კვ მიწის წლიური სარგებლობის განისაზღვროს 6,0422 ლარით. შესაბამისად №05.32.06.175, №05.32.06.176, №05.32.06.179 და №05.32.06.185 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ჯამის 49 651 კვმ. მიწის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრება 300 000 ლარით.



**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრს ნატალია ძიმიგურს მიაჩნია, რომ ჩაქვის ტერიტორიაზე გაკეთდეს შემოსული მანქანების სადგომი.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა, რომ ქალაქისთვის მნიშვნელოვანია კარგი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მორგებული იქნება მოსახლეობაზე.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ ზემო აჭარიდან ქალაქისკენ და პირიქით მოძრავი სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსებითვის მოსაწყობია ავტოსადგურის ტერიტორია. უნდა შეიქმნას ეკონომიკური მიზიდულობის ახალი ცენტრი. ქალაქი განიტვირთება ზედმეტი ტრანსპორტისგან.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21(რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკვიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. ძიმიგური)

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ.N45-ში არსებულ არასაცხოვრებელ შენობაზე თორნიკე კიპაროიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 11 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილების თანამშრომელი - 25 წლის თორნიკე კიპაროიძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. თორნიკე კიპაროიძე, სახანძრო-სამაშველო ძალებში ერთი წელი მუშაობდა, დაჯილდოებულია მედლით – სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნატალია მიძიგურმა განაცხადა შავი დაფების განთავსების აკრძალვის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ განმარტა, რომ საკრებულოს მიერ მიღებულ წესში დათქმაა - 15 წელი უნდა გავიდეს მემორიალური დაფის განსათავსებლად. გამომდინარე აქედან შეზღუდვას აზრი ეკარგება.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21(რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაზიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. მიძიგური)

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ.N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე დურსუნ ჩერქეს-ზადეს მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ტრავმატოლოგიაში, ცნობილი ქირურგი-ტრავმატოლოგ-ორთოპედი, რამდენიმე მიმართულებისა და მრავალი გამოგონების ავტორი, სპორტის ოსტატი დურსუნ ისმაილის ძე ჩერქეს-ზადე დაიბადა ქალაქ ბათუმში. სკოლის დამთავრების შემდეგ ყაზახეთის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლასთან პარალელურად სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებში იყო წყალბურთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი. მინიჭებული აქვს წყალბურთში ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ზერქეს-ზადემ პირველი საექიმო გამოცდილება მიიღო ქალაქ ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მუშაობდა მოსკოვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ავტორია 240 სამეცნიერო ნაშრომის, 29 გამოგონებისა და 102 რაციონალური წინადადებისა. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის

ორდენით. მინიჭებული აქვს დამსახურებულ მოღვაწის და დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებები.

შვებულებას და თავისუფალ დროს ატარებდა მშობლიურ ქალაქში, რომლის დროსაც აკეთებდა რთულ ორთოპედიულ ოპერაციებს და უწევდა პაციენტებს უფასო კონსულტაციებს.

დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის მოსახლეობისათვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებისა და ბათუმის ექიმთა დახელოვნების საქმეში.

გარდაიცვალა 2017 წლის 12 მარტს.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21(რ. ჯინჭარაძე, ი. თავდგირიძე, ნ. ზოიძე, ზ. ნაკაიძე, მ. გოგუაძე, დ. მახარაძე, ლ. ცხოიძე, გ. მგელაძე, ნ. ცინცაძე, თ. აფხაზავა, ა. ბალაძე, რ. სირაბიძე, რ. ხალვაში, ნ. ცხვარაძე, ლ. ბერიძე, გ. ლომთათიძე, ლ. დოლიძე, თ. ბერიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია, ნ. მიმიგური)

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარეს საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ მიმართა თხოვნით განცხადების გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - გააკეთა განცხადება ღია კარის სხდომის უახლოეს დღეებში ამომრჩეველთა მოსმენისთვის ჩანიშვნის თაობაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე